ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს წევრების ელექტრონული გამოკითხვის შედეგები

ოქმი № 1

ქ. თბილისი, 10 იანვარი, 2024 წელი

დღის წესრიგი:

1. ერთწლიან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში“ ცვლილებების შესახებ

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს წევრებს 2024 წლის 9 იანვარს დაეგზავნათ მასალები ერთწლიან სამაგისტრო საგანმანათლებლო **პროგრამაში „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში“ ცვლილებების შესახებ.** აღნიშნულ პროგრამაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

1) განახლდა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლების შედეგები, კერძოდ: სწავლის შედეგები ჩამოყალიბდა ბლუმის ტაქსონომიის მე-4, მე-5 და მე-6 დონეების მიხედვით (გაანალიზება, შეფასება, შექმნა);
2) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას არჩევით საგნებში დაემატა სასწავლო კურსი „ეროვნული უსაფრთხოების სამართლებრივი რეგულირება“ (LP100);
3) სასწავლო კურსებში დაზუსტდა და შემცირდა მითითებული ლიტერატურის ჩამონათვალი, კერძოდ: სასწავლო კურსებში „საერთშორისო და რეგიონალური უსაფრთხოება“ (IS100), „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების არქიტექურა“ (GS100), „სტრატეგიული ლიდერობა“ (SL100) და სხვ., არსებითად შემცირდა ლიტერატურა, ამასთან, სასწავლო ლიტერატურა დაიყო სავალდებულო და დამხმარე საკითხავ ლიტერატურად. ასევე, სასწავლო კურსებისთვის შემუშავდა სასწავლო კურსის ე.წ. „რიდერი“ და მეცადინეობის გეგმები, სადაც სხვა დოკუმენტებთან ერთად გაიწერა მისაღები რაოდენობის სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა;
4) სილაბუსებში განახლდა სილაბუსის ავტორები, რაც შესაბამისად აისახა სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმში;

5) განახლდა „პროფესიული (პრაქტიკული) ნაშრომის“ სილაბუსი. დაემატა ლექტორების რაოდენობა, რომლებსაც ასევე შეიძლება განესაზღვროთ სტუდენტის ხელმძღვანელის ფუნქციები. ამასთან, „პროფესიული (პრაქტიკული) ნაშრომის“ სილაბუსში გასწორდა ნაშრომის შეფასების სქემა (კომპონენტები, კრიტერიუმები და ა.შ.);
6) გადამუშავდა სასწავლო კურსის „ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სექტორში“ (HR100) სილაბუსი;
7) სასწავლო კურსს „აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდები“ (AW100) შეეცვალა სახელი და პროგრამაში განისაზღვრა „აკადემიური წერისა და კვლევის პრაქტიკული სემინარის“ (AW100) სახელწოდებით. ამასთან, სასწავლო კურსში გადამუშავდა კვლევის მეთოდების თემატიკის ნაწილი (მ.შ. საკვლევი პრობლემატიკის შერჩევა და ფორმულირება; ჰიპოთეზის გენერირება; თეორიის როლი სამეცნიერო-კვლევით პროცესში; კვლევის თვისებრივი მეთოდი და სხვ.), ყურადღება გამახვილდა რაოდენობრივ მეთოდზე, სტატისტიკური მონაცემებისა და ანალიტიკურ მონაცემთა დამუშავების ტექნიკებზე, მეტი დრო ეთმობა პრაქტიკულ-სასემინარო მუშაობას;
8) სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში გადაიხედა შეფასების რუბრიკები და მოხდა სტანდარტული შეფასების რუბრიკაში (ესსე, ზეპირი პრეზენტაცია და სხვ.) შეფასების ფორმების კონკრეტული კურსის მოთხოვნებთან მისადაგება. ამასთან, რიგ სასწავლო კურსებში შეფასების სქემიდან ამოღებულია დასწრების კომპონენტი და მასზე განსაზღვრული ქულა ამჟამად ასახულია სემინარზე აქტივობის შეფასებაში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ელექტრონულად თანხმობა განაცხადა საბჭოს 25 წევრმა.

დადგინდა: მიღებულ იქნას **ერთწლიან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში“** წარმოდგენილი ცვლილებები.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,

პროფესორი გ. ღაღანიძე

მდივანი, ასოცირებული პროფესორი გ. ერქომაიშვილი